

## ევროპის კავშირის საბჭო. საბჭოს დასკვნები საქართველოში ევროკავშირის მონიტორინგის მისიის საქმიანობის შესახებ

საგარეო ურთიერთობათა საბჭოს 2958-ე სხდომა

ბრიუსელი, 2009 წლის 27 ივლისი

საბჭომ მიიღო შემდეგი დასკვნები:

“1. საბჭომ გადაწყვიტა გააგრძელოს საქართველოში ევროკავშირის მონიტორინგის მისიის მანდატი 12 თვით, 2010 წლის 14 სექტემბრამდე.

2. საქართველოსა და რუსეთს შორის 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის შემდეგ მისიის სწრაფი დისლოკაციით ცხადი გახდა, რომ ევროკავშირს აქვს ნება და შესწევს უნარი აქტიურად იმოქმედოს მშვიდობისა და სტაბილურობისთვის. ევროკავშირის მონიტორთა განლაგებამ ხელი შეუწყო 2008 წლის 12 აგვისტოსა და 8 სექტემბრის შეთანხმებათა იმპლემენტაციისათვის საჭირო პირობების შექმნას. ამ თვალსაზრისით საბჭომ კვლავ მოუწოდა ყველა მხარეს სრულად დაიცვან თავიანთი ვალდებულებები, მათ შორის შეიარაღებული ძალების დაბრუნება იმ პოზიციებზე, რომლებიც მათ ეკავათ დაპირისპირების დაწყებამდე. საბჭომ კვლავ მიუთითა, რომ საქართველოში ევროკავშირის მონიტორინგის მისიის მანდატი მთელი ქვეყნის მასშტაბით მოქმედებს და მოითხოვა მონიტორინგის მისიის შეუფერხებელი ხელმისაწვდომობა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე, რაზედაც აქამდე ნებართვა ვერ მიიღეს. საბჭომ მწუხარებით მიიღო 21 ივნისს ევროკავშირის მონიტორინგის მისიაზე თავდასხმის ფაქტი და მხარეებს მოუწოდა უზრუნველყოთ მისიისთვის უსაფრთხო გარემო.

3. საბჭო მიესალმა საქართველოში ევროკავშირის მონიტორინგის მისიის მიღწევებს, განსაკუთრებით მდგომარეობის სტაბილიზების, ნორმალიზებისა და ნდობის აღდგენის სფეროებში. ადგილზე მისიის ყოფნა გადამწყვეტ როლს ასრულებს რეგიონის სტაბილიზებაში. საქართველოში ევროკავშირის მონიტორინგის მისიამ განახორციელა რუსეთის ჯარების ნაწილობრივი გაყვანის და ადმინისტრაციული საზღვრების მიმდებარე ტერიტორიებზე ქართული პოლიციის დაბრუნების მონიტორინგი. მისიამ აღწერა რამდენიმე სერიოზული ინციდენტი და დააფიქსირა სიტუაციები, რომლებიც დაკავშირებულია იძულებით გადაადგილებულ პირებთან, კანონის უხედავობასთან, ადამიანის უფლებათა დარღვევებთან და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის უგულვებელყოფასთან. საბჭომ მოუწოდა მისიას გაეგრძელებინა ძალისხმევა, ნდობის აღდგენის სხვადასხვა სახის ღონისძიებებში მონაწილეობის ჩათვლით.

4. საბჭომ ღრმა წუხილითა და სინანულით აღნიშნა, რომ ვერ მოხერხდა შეთანხმება საქართველოში გაეროსა და ეუთოს მონიტორინგის მისიათა მომავალი ბედის შესახებ. ეს ფაქტი კიდევ უფრო მკაფიოს ხდის საქართველოში ევროკავშირის მონიტორინგის მისიის გადამწყვეტ როლს. ევროკავშირი გააგრძელებს გაეროსთან და ეუთოსთან მჭიდრო თანამშრომლობას საქართველოსთან დაკავშირებულ საკითხებზე. საბჭომ კიდევ ერთხელ დაადასტურა მისი ერთგულება ჟენევის მოლაპარაკებებისადმი და ევროკავშირის, გაეროსა და ეუთოს მიერ ამ ფორუმის თანმიმდევრული თავმჯდომარეობისადმი.

5. საბჭომ მიუთითა 2008 წლის 13 ოქტომბერს მის მიერ გამოქვეყნებულ დასკვნებზე და 2008 წლის 1 სექტემბერს ევროპული საბჭოს დასკვნებზე, და კვლავ დაადასტურა მისი მტკიცე მხარდაჭერა საქართველოში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის მიმართ, რომელიც დაფუძნებულია დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპებზე, როგორც ეს აღიარებულია საერთაშორისო სამართლით, ეუთოს ჰელსინკის კონფერენციის დასკვნითი აქტისა და გაეროს რეზოლუციების ჩათვლით.”

([http://www.consilium.europa.eu/uedocs/cms\\_data/docs/pressdata/en/gena/109392.pdf](http://www.consilium.europa.eu/uedocs/cms_data/docs/pressdata/en/gena/109392.pdf)/საკუთარი  
თარგმანი)